ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

22 აპრილი 2026

N189223

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

,,შპს ,,ჯავახავტოგზა“-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 12 ნოემბრის N 187794 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

შპს ,,ჯავახავტოგზა“-ს (ს/ნ - 208168640) (შემდგომ - სუბიექტი) მიმართ, 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგებასთან დაკავშირებით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) უფროსის მიერ გაცემულ იქნა ,,შპს ,,ჯავახავტოგზა“-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2025 წლის 12 ნოემბრის N187794 ბრძანება. მოცემული ბრძანების თანახმად, სუბიექტს განესაზღვრა სანქცია წერილობითი გაფრთხილების სახით და დაეკისრა აუდიტირებული ანგარიშგების წარდგენა ბრძანების გაცნობიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული ბრძანება მიღებულია ,,აუდიტორული ფირმის - შპს „აუდიტ - თა“-ს და აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორის თამარი კაპანაძის მოკვლევის შედეგების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2025 წლის 5 ნოემბრის N562 ბრძანების საფუძველზე.

2025 წლის 9 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო შპს ,,აუდიტ-თა“-სა და თამარ კაპანაძის საჩივარი, რომლითაც საჩივრის ავტორების მიერ მოთხოვნილი იქნა ,,აუდიტორული ფირმის - შპს „აუდიტ - თა“-ს და აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორის თამარი კაპანაძის მოკვლევის შედეგების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2025 წლის 5 ნოემბრის N562 ბრძანების მოქმედების შეჩერება და ბათილად ცნობა (საქმე N4/12591-25).

აქვე გასათვალისწინებელია, რომ „ბუღატრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტს შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: ,,სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას“.

ხაზგასასმელი გარემოებაა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ N4/12591-25 საქმეზე მიღებული, 2025 წლის 9 დეკემბრის და 2026 წლის 5 თებერვლის დადგენილებებით, შეჩერდა ,,აუდიტორული ფირმის - შპს „აუდიტ - თა“-ს და აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორის თამარი კაპანაძის მოკვლევის შედეგების შესახებ“ სამსახურის უფროსის 025 წლის 5 ნოემბრის N562 ბრძანების მოქმედება. აღსანიშნავია, რომ სამსახურს აღნიშნული დადგენილებები, კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ჩაბარდა 2026 წლის 17 თებერვალს, ხოლო ამავე წლის 27 თებერვალს, დადგენილებები გასაჩივრებულ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2026 წლის 6 მარტის N4/ა-223-26 დადგენილებით, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 9 დეკემბრის დადგენილება იმ ნაწილში, რომლითაც საჩივრის წარდგენის საფუძველზე შეჩერდა გასაჩივრებული - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წლის 5 ნოემბრის N562 ბრძანების მოქმედება და საქმე შუამდგომლობის ხელახლა განხილვის მიზნით დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2026 წლის 10 მარტის დადგენილებით - შპს ,,აუდიტ-თა"-სა და თამარ კაპანაძის შუამდგომლობა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2025 წლის 5 ნოემბრის N562 ბრძანების მოქმედების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღსანიშნავია, რომ სამსახურს მოცემული დადგენილება ჩაბარდა 2026 წლის 26 მარტს.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ N4/12591-25 საქმეზე მიღებული, 2025 წლის 9 დეკემბრის დადგენილებით, შეჩერდა სამსახურის 2025 წლის 5 ნოემბრის N562 ბრძანების მოქმედება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2026 წლის 6 მარტის დადგენილების მიღებამდე. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული ქმედებით შეჩერდა, ასევე, ამავე ბრძანების საფუძველზე მიღებული სამართლებრივი აქტების, მათ შორის ,,შპს ,,ჯავახავტოგზა"-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ" სამსახურის უფროსის 2025 წლის 12 ნოემბრის N 187794 ბრძანების მოქმედებაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სუბიექტის მიმართ გაცემული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტით განსაზღვრული 6 (ექვსი) თვიანი ვადის დასრულების თარიღის გამოთვლისას გათვალისწინებულ უნდა იქნას და დაემატოს სასამართლოს დადგენილებით შეჩერებული დროის პერიოდიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ,,სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედებას.".

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ ეს გათვალისწინებულია კანონით.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: ,,მხარის მოთხოვნით, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან მისი ნაწილის მოქმედება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ...".

საქართველოს უზენაესის სასამართლოს 2020 წლის 6 თებერვლის Nბს-1389(კს-19) განჩინების თანახმად: ,,ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერება ნიშნავს მისი მოქმედებისა და ყველა სამართლებრივი შედეგის გადადებას სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე".

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 14 სექტემბრის N223 ბრძანებით დამტკიცებული, სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად: ,,სამსახურის უფროსი სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს – ბრძანებებს..."

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2026 წლის 14 სექტემბრის N223 ბრძანებით დამტკიცებული, სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, N4/12591-25 საქმეზე მიღებული 2025 წლის 9 დეკემბრის, 2026 წლის 5 თებერვლის, 10 მარტისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 6 მარტის N4/ა-223-26 საქმეზე მიღებული დადგენილებების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. ,,შპს ,,ჯავახავტოგზა“-სთვის წერილობითი გაფრთხილების სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2025 წლის 12 ნოემბრის N 187794 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
   ,,2. სუბიექტს დაევალოს, კანონით დადგენილი წესით ანგარიშგების ატვირთვის ჩანართში ატვირთოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება (აუდიტორის დასკვნასთან ერთად) სრულად, ერთ დოკუმენტში ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში (აღნიშნული ვადის ხანგრძლივობას დაემატოს 2025 წლის 9 დეკემბრიდან 2026 წლის 6 მარტის ჩათვლით პერიოდი, რომლის მიმდინარეობისას სასამართლოს დადგენილებით შეჩერებული იქნა გასაჩივრებული აქტის მოქმედება.);“
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ეს ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64). ბრძანების გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას.

ზაზა რუხაია

სამსახურის უფროსის მ. შ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური